# კონკურსი ლექსიკოგრაფიაში

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულება და თსუ ლექსიკოგრაფიული ცენტრი აცხადებენ **კონკურსს ინგლისურ-ქართულ ლექსიკოგრაფიაში** ინგლისურ-ქართული სალექსიკონო სიტყვა-სტატიების შედგენაზე.

**კონკურსის პირობები:**
კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს, რომელთაც მოსმენილი და ჩაბარებული აქვთ საგანი „ლექსიკოგრაფიის საფუძვლები“.

თითოეულმა კონკურსანტმა უნდა შეადგინოს საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული 5 სიტყვა-სტატია.

კონკურსის მონაწილე სტუდენტებს დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის რედაქტორები ჩაუტარებენ ტრეინინგებს პრაქტიკულ ლექსიკოგრაფიაში და გადასცემენ საკონკურსო დავალების შესასრულებლად საჭირო ლექსიკოგრაფიული მასალის სრულ კომპლექტს.

საკონკურსო კომისია გამოავლენს **სამ გამარჯვებულ სტუდენტს,** რომელთათვისაც დაწესებულია შემდეგი პრიზები:

**პირველი ადგილი** - 200 ლარი, უვადო ხელმოწერა დიდ ინგლისურ-ქართულ ონლაინ-ლექსიკონზე (www.dict.ge) და დ. რეიფილდის დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის ელექტრონული ვერსია დისკზე;

**მეორე ადგილი** - 100 ლარი, უვადო ხელმოწერა დიდ ინგლისურ-ქართულ ონლაინ-ლექსიკონზე (www.dict.ge) და დ. რეიფილდის დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის ელექტრონული ვერსია დისკზე;

**მესამე ადგილი** - უვადო ხელმოწერა დიდ ინგლისურ-ქართულ ონლაინ-ლექსიკონზე (www.dict.ge) და დ. რეიფილდის დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის ელექტრონული ვერსია დისკზე.

კონკურსის მონაწილე ყველა სტუდენტი მიიღებს სერტიფიკატს.

**კონკურსის ჩატარების ვადები:**
კონკურსის მსურველმა სტუდენტებმა შევსებული განაცხადის ფორმა **2014 წლის 17 დეკემბრამდე** უნდა გამოაგზავნონ შემდეგ მისამართზე: konkursi@dictionary.ge.

**ტრეინინგები პრაქტიკულ ლექსიკოგრაფიაში** ჩატარდება **2014 წლის 20 დეკემბერს** და კონკურსანტებს გადაეცემათ საკონკურსო დავალება.

შედგენილი სიტყვა-სტატიების წარმოდგენის ბოლო ვადაა **2015 წლის 25 თებერვალი.**

კონკურსის შედეგების გამოცხადება - **2015 წლის 25 მარტი.**
სტუდენტების დაჯილდოებისა და სერტიფიკატების გადაცემის ცერემონიალის თარიღი დამატებით გამოცხადდება.

**კონკურსი ინგლისურ-ქართულ ლექსიკოგრაფიაში**

განაცხადის ფორმა:

1. სახელი, გვარი
2. მიმართულება, კურსი, ჯგუფი;
3. საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ელ-ფოსტა, ტელეფონის ნომრები).